ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95260863**
თარიღი:**27/03/2026**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის მართვის უფლებით, ვადით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 124-ე მუხლის, 125-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 126-ე მუხლის, 127-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს მამუკა თურმანიძეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის, მართვის უფლებით ვადით ელექტრონული აუქციონის ფორმით გადაცემაზე.

მუხლი 2.

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონების - შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის საწყისი ღირებულება განისაზღვრა *სსიპ ლევან* სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის (№001631526; 09.03.2026 წლის) მიხედვით, რომელმაც შეადგინა წელიწადში 23622 (ოცდასამი ათას ექვსას ოცდაორი) ლარი.

მუხლი 3.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ.

მუხლი 4.

მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 5.

განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

მუხლი 6.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

მუხლი 7.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე